№ 11. **სახალხო გაზეთი** № 11.

ოთხშაბათი, 19 მაისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწადი [illegible]

ტფილისი


ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

# სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

*** ***ხელის-მომწერთა საყურადღებოდ*** ***

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

## „ედემის" ბაღი

(ვერაზე)

ხუთშაბათს, 27 მაისს, ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლის სასარგებლოდ გამართული იქნება

### მაილობა—„არიფანა"

(3—1) მასპინძელი კნეინა მ. დ. ჭავჭავაძისა.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ვ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოველ დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—179)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—342)

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1/2}$—$6^{1/2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^{1/2}$—8 ს. ტუბერკულიოზით წამლობა ჰლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კვ.—73)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში
ნ. ა. დემიდოვი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—438)

**ექიმი** დ. ახვლედიანი
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი** ქუთაისში
კ. თ. ტყეშელაშვილი
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—45

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ვასილ წერეთელი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—186)

**ექიმი** შ. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—94)

**ექიმი** ბავშვებისა ქუთაისში
ბადრიძე
1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—6.—15

**ექიმი** ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—126)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—67)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

**ექიმი** კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## ქ. თელავში

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

### ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით.

**ახალი მეთოდი.**

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული.

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მან.. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ. (10—ფ.—7)

## სცენაზე მოღვაწეობის მსურველთა საყურადღებოდ

**1. გამოსაცდელ წარმოდგენაში** მონაწილეობის მსურველნი (დებიუტანტები) უნდა გამოცხადდენ დრამ. საზოგად. სადგომში (სათავ.-აზნ. ქარვასლა) უთუოდ 20 მაისს.

**2. დებიუტანტმა უნდა იცოდეს** ზეპირად ერთი რომელიმე ლექსი ანუ მონოლოგი, სცენა, რომელსაც წაიკითხავს გამოცდაზე რეჟისორისა და ან გამგეობის ერთ-ერთი წევრის თანადასწრებით.

**შენიშვნა:** პიესაში როლი მიეცემა მხოლოდ იმას, ვინც წაკითხვაში სასცენო ნიჭსა და უნარს გამოიჩენს.—რეპეტიციები გაგრძელდება არა ნაკლებ ათი დღისა.—მუდმივ დასში მოწვევა დამოკიდებულია წარმოდგენის შედეგზე და გამგეობის შეხედულებაზე. დებიუტანტების წასვლა-მოსვლისა და ტფილისში ცხოვრების არავითარს ხარჯს გამგეობა არ კისრულობს.

**ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობა** (5—4)

**კვირას 23 მაისს,**
ზუბალაშვილების სახალხო სახლში,

### ექ. ვ. ლამბაშიძე

წაიკითხავს ქართულ

## ლექციას

შემდეგ თემაზე:

### „მტრები ადამიანის ორგანიზმისა".

ლექციის დროს უჩვენებენ ბუნდოვან სურათებს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 5 კ. 50 კ. (2—2)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითატყობინებს უძრავ ქონების პატრონებს, რომ 21 მაისიდან ამსრულებელ დამფასებელი კომისია შეუდგება ქალაქის მამულების შეფასებას. შეფასება დაიწყება მე 12 საპოლიციო ნაწილიდან, საიდანაც გაემართება დამფასებელთა ყველა ჯგუფები.

დამფასებელთა ჯგუფების დაყოფაზე რაიონებად ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—6.—1)

**სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა.**

ორშაბათს, 24 მაისს, 1910 წ. ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

### 1. ქრისტინე

ე. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკ. პ. იერეთელისა, დრამ 4 მოქ. 5 სურ.

### 2. ტიმოთეს ლელვი

ვოდ. 1 მოქ. ი. გრიშაშვილისა.

ადგილების ფასი 60-დან 5-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს 9-ის ნახ. საათზე. რეჟისორი ვ. მატარაძე, ადმინისტრატორი ა. გოჩიტაშვილი.


# ტფილისი, 19 მაისი

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნებულ იქმნა დროებითი წესები უნივერსიტეტთა შესახებ. ამ დროებითი წესების ძალით უნივერსიტეტებს ეძლეოდათ თვითმმართველობის და ავტონომიის ცოტაოდენი უფლებანი სასტიკ 1884 წ. კანონთან შედარებით. ეს დროებითი წესები, რა თქმა უნდა, პროგრესიული მოვლენა იყო და ამიტომ სიამოვნებით მიეგება ახალგაზრდობაც და პროფესსორებიც, თუმცა მათში საჭირო იყო ზოგიერთი მეტად სერიოზულ შესწორებების შეტანა. მაგრამ განვლო 5 წელმა და ამ წესების გამოქვეყნების დროის „გაზაფხული" დღევანდელმა სასტიკმა „ზამთარმა" შესცვალა. ეს დროებითი წესები მეტად ლიბერალური გამოდგნენ ზოგიერთთა აზრით, და ეხლა სახალხო განათლების მინისტრმა ბ. შვარცმა სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად შეიტანა ახალი კანონ-პროექტი უნივერსიტეტების შესახებ. ამ პროექტის ძალით უნივერსიტეტებს წაერთვათ ის ცოტაოდენი თავისუფლებაც, რომელიც მათ ჰქონდათ დროებითი წესების ძალით მინიჭებული, და ისინი ისეთივე მდგომარეობაში რჩებიან, როგორშიდაც 1884 წ. წესების დროს იყვნენ.

დედა-აზრი ამ პროექტისა იმაშია, რომ უნივერსიტეტის საბჭოს ერთმევა ყოველგვარი უფლება, რომელიც კი მას ჰქონდა მინიჭებული 1905 წლის დროებითი წესების მიერ. ახალი პროექტის ძალით საბჭო შესდგება მარტო ორდინარულ პროფესსორებისაგან. წინად კი თვით 1884 წ. კანონის ძალით საბჭო შესდგებოდა ორდინარ და ექსტრაორდინარ პროფესსორებისაგან. განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს უნივერსიტეტებმა მოითხოვეს, რომ საბჭოში სათათბირო ხმა თვით უმცროსს მასწავლებლებს, ეგრედ წოდებულ პრივატ-დოცენტებსაც მისცემოდათ. ასეთი ცვლილების შეტანა აიხსნება იმ სურვილით, რომ, ერთი მხრით, შემცირდეს საერთოდ რიცხვი საბჭოს წევრებისა და მით დაეკარგოს ის მნიშვნელობა და გავლენა სტუდენტობაზე, რომელიც მას აქვს, და, მეორე მხრივ, რომ საბჭოში შედიოდენ უფრო ხნიერი წევრები პროფესსორთა კოლლეგიისა, რომელთაც, პროექტის აზრით, დაკარგული აქვთ სურვილი ბრძოლისა და პროტესტისა. ეს კიდევ ცოტაა. დროებითი წესების ძალით, არჩეული რექტორი თავის მოქმედებაში პასუხს აგებდა საბჭოსთან, რომელიც მას აძლევდა განსაზღვრულ ინსტრუქციებს, ახალი პროექტის ძალით კი საბჭო ირჩევს რექტორს, რომელიც მინისტრს შეუძლია დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს და ეს რექტორი 3 წლის განმავლობაში მართავს და განაგებს უნივერსიტეტის საქმეებს, თავის კერძო ან უკედ რომ ვსთქვათ, თვისი უფროსების, ოლქის მზრუნველს და განათლების მინისტრის, სურვილის მიხედვით. რექტორს ჰყავს ორი თანაშემწე: ერთი—პრორექტორი, არჩეული საბჭოს მიერ თვით პროფესორთა წრისაგან, და მეორე—უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილის გამგე რომელსაც ნიშნავს თვით სახალხო განათლების მინისტრი. თუ რა როლი ექნება ამ გამგეს, მინისტრის მიერ გამოგზავნილს, ყველასათვის ცხადია. ყველასათვის ცხადია აგრეთვე ისიც, რომ ამ გამგესთან კარგი რექტორიც ყოველგვარ მნიშვნელობას დაჰკარგავს უნივერსიტეტის სადმინისტრაციო და სამეურნეო მართვა—გამგეობის დროს.

აღარ გამოვუდგებით პროექტს და სავსებით არ მოგიყვანთ ამ პროექტის მუხლებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ახალ პროექტის ძალით სტუდენტებს არ ექნებათ ორგანიზაციის დაარსების უფლება, რომ ისეთი სტუდენტების რომელნიც დაარღვევენ წესებს, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნებიან უნივერსიტეტიდან, რომ სტუდენტების ყოფაქცევის სათვალყუროდ თვით უნივერსიტეტში მოწვეულ იქნებიან სპეციალური პრისტავები და კიდევ მრავალი სხვა ამგვარი.

ყველა ზემოხსენებულიდან ნათლად სჩანს, თუ რა ღირსებისაა ახალი პროექტი და რა მნიშვნელობა ექნება მას უნივერსიტეტისთვის. სცდილობენ განათლების საქმე კვლავ დააბრკოლონ და შეაფერხონ, სცდილობენ სტუდენტები კვლავ რაღაც მოსამზადებელ კლასის მოწაფეებათ გახადონ.

რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ასეთი კანონები სავსებით ვერ გატარდებიან, რაც უნდა მკაცრად არ უნდა ეცადონ მათი განხორციელება მინისტრმა და ოლქის მზრუნველმა. მოხდება მხოლოდ ის, რაც წინეთაც ხდებოდა 1884 წ. კანონების დროს: სტუდენტებს ორგანიზაციები მაინც ექმნებათ, პროფესსორთა საბჭოს ყოველგვარი გავლენა დაეკარგება უნივერსიტეტის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებების ხასიათი დაეკარგება, ამას კი შესაძლებელია, მოჰყვეს ის, რაც წინეთ მოყოლია—სტუდენტების აღელვება.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. ტელ. სააგენტ.)

**17 მაისის სხდომა.**

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეობს თ. ვოლკონსკი. განსახილველია მესამე მუხლი დასავლეთ ექვს გუბერნიაში საერობო დაწესებულებათა პროექტისა. ამ მუხლს დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სათათბიროს კომისიამ უარჰყო მთავრობის რედაქცია და თავისი რედაქცია წარუდგინა სათათბიროს. ამ რედაქციის ძალით ზოგიერთ გუბერნიაში პოლონელ საერობო ხმოსანთა რიცხვი ორჯერ მეტი იქმნება ვიდრე მთავრობის პროექტით. კამათში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა პურიშკევიჩმა, რომელმაც სტაქანი ესროლა დეპუტატ მილიუკოვს. საქმე ამგვარად იყო: პურიშკევიჩმა განაცხადა ჩემი ფრაქცია—მემარჯვენეები მთავრობის რედაქციას დაუჭერენ მხარს, ვინაიდან პოლონელები რუსებს ავიწროებენ კი არა, მართლმადიდებელ ეკკლესიის წმინდანებს შეურაცხყოფას აყენებენო. ტყვილა იცავენ პოლონელების ინტერესებს ისინი, ვისაც გერცენის, ეგოროვის და ბაკუნინის მსგავსად მოაქვთ თავი, ისინი ისე შორს არიან მათგან როგორც დამყაყებული ტბა მზისაგანაო. თავმჯდომარე ტყვილად სცდილობდა პურიშკევიჩისთვის სიტყვა გაეწყვეტინებია. პურიშკევიჩი სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა, თანდათან ხმას იმაღლებდა, ისე რომ სულსაც კი არ ითქვამდა. მარცხნივ ხმებია: „ნელა თორემ დაიხრჩობით". „ექიმს დაუძახეთ" „ავადმყოფია", „გიჟია" პურიშკევიჩი (მიჰმართავს მილიუკოვს): ჰქას გესვრი თავში. სიჩუმე. მერე ხმაურობა. პურიშკევიჩი აიღებს ჭიქას კათედრიდან და ისვრის მილიუკოვისაკენ. ჭიქა დაეცემა პირველ რიგის სკამებთან და დაიმსხვრევა. საზოგადო ხმაურობა და ყვირილია. ფეხზედ წამოდგებიან. ბოქაულის თანაშემწე კათედრიდან წყლის ჭურჭელს ჩამოიღებს. თავმჯდომარე ყველასა სთხოვს დამშვიდდნენ და თავთავისი ადგილი დაიკავონ და აცხადებს, რომ თუ რომელიმე სათათბიროს წევრი არღვევს წესს, სხვებმა ხელი კი არ უნდა შეუწყონ, არამედ უნდა ეცადნენ წესიერება დაიცვან. წინადადებას ვაძლევ სათათბიროს აუკრძალოს თუთხმეტის სხდომაზე დასწრება პურიშკევიჩს, ვინაიდან სრულიად გაუთლელად იქცევა.

**პურიშკევიჩი.** მილიუკოვმა ჩამადენინა ეს საქმე, გამომიყვანა მილიუკოვმა მოთმინებიდან, რომელმაც არ იცის თავის დაჭერა და არ იქცევა წესიერად სათათბიროში (მარცხნივ სიცილია). ძალიან ვწუხვარ რომ ვერ მოვახვედრე ჭიქა სადაც საჭირო იყო. მხოლოდ იმიტომ, რომ ფინლიანდიის საგანი ალე უნდა განიხილოს სათათბირომ, ბოდიშს ვიხდი (მიმართავს მემარცხენეებს) არა თქვენს წინაშე, არამედ სათათბიროს უმრავლესობის წინაშე, ვინაიდან უსამართლობად მიმაჩნია ჩემი სათათბიროდან განძევება იმ დროს როცა ფინლიანდიის საგანი გექნებათ განსახილველად. ამ მიზეზის გამო უღრმესს ბოდიშს ვიხდი და მოტევებას ვითხოვ, ჩემი მოვალეობა მაკისრებს ასე მოვიქცე.

თავმჯდომარე პურიშკევიჩის განცხადების გამო საჭიროდ სთვლის გაუნახევროს სასჯელი და ავალებს მარტო 7 სხდომაზე აეკრძალოს დასწრება. სათათბირო ერთხმად მიემხრო თავმჯდომარეს. მესამე მუხლმა გამოიწვია განხეთქილება. რობინსკი განაცხადა, რომ მისი ჯგუფი მხარს დაუჭერს მთავრობას. ოკრიცკი ოქტომბრისტთა უმრავლესობის მონდობილებით აცხადებს, რომ ფრაქცია კომისიის ვარიანტს მისცემს ხმას, რადგანაც პოლონელთა შევიწროება სრულიადაც არ მიაგავს სახელმწიფო ინტერესს (მემარცხენენი ტაშით მიეგებეიან ამ განცხადებას, მემარჯვენეები სტვენითა) და კენჭის ყრის დროს მთავრობის ვარიანტი მიღებულ იქმნა 171 ხმით წინააღმდეგ 168-ისა, ხოლო მეორე კენჭის ყრის დროს მთავრობის პროექტი გავიდა 182 ხმით წინააღმდეგ 165. მიღებულ იქნა შესწორება **ანდრეიჩუკისა** რომ საგუბერნიო საერო კრებაში მიუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღოს ერთმა ხმოსანმა ყოველი საერობო სამაზრო გლეხთა კურიიდან: ცენზი და **უვაროვის** მიხედვით სანახევროდ შემცირეს მე 6, 8, 17, 20 მუხლი მიღებულია ვარია-

ნები. გამორიცხულია მე-5 მუხლი, რითაც შინაგან საქმეთა მინისტრს ნება ეძლეოდა, საგუბერნიო საერობო კრების თხოვნით შეეცვალა ხმოსანთა რიცხვი და შეემცირებია ცენზისათვის მიღებული რიცხვი დესეტინისა. მეორე მუხლი მიღებულია მთავრობის პროექტით, ამ მუხლის ძალით ებრაელებს არ აქვთ ნება მიიღონ მონაწილეობა საერობო თვითმმართველობაში. მე-6-ე მიღებულია კომისიის რედაქცით, მე-10 მთავრობის პროექტით მე-12 კი კ. დ. შენიშვნებით.

შემდეგი კრება მოხდება 19 მაისს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მაისი.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** პატარა რკინის გზაზე, რომელზედაც უმთავრეს გზის გვერდით რივიე'რის ნაწილის მცხოვრებნი მიდი მოდიან, მოძრაობა შესწყდა მუშების გაფიცვის გამო.

**ბლიუფილდსი** (ნიკარაგუა). მთავრობის ჯარმა გენერალ ლარის მეთაურობით იერიში მიიტანა ესტრადის პოზიციაზე. ჯარს მოუკლეს 250 კაცი და უკუაგდეს.

### სპარსეთი

**თავრიზი.** სოუჯ-ბულაღში პოლიციასა და ოსმალეთის ქვეშევრდომებს შეტაკება მოუვიდათ. შეტაკება გამოიწვია იმ შემთხვევამ, რომ სპარსეთის მთავრობა დაუკითხავად იჭერს სოუჯ-ბულაღში მყოფ სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს. პოლიციელებმა ესროლეს სხვათა შორის ოსმალეთის საელჩოს აგენტს, მაგრამ უშედეგოდ.

რუსეთის საკონსულოს უფროს მირზას სახლის ახლოს სროლის საქმე მშვიდობიანად დასრულდა.

**თეირანი.** სეპეხდარი თხოულობს ბეჰდვის საქმის შესახებ შესდგეს სპეციალური კომისია.

მეჯლისმა დაამტკიცა ათი მილიონი მანეთის შინაურ სესხის პროექტი. სესხის მოწმობის შეძენის უფლება უცხოელებსაც ეძლევათ.

**თეირანი.** ღამე სამმა ფიდაიმ თავის სახლში მოჰკლა ყოფილ შაჰის სასახლის უკანასკნელ მინისტრის შვილი ემინულ-მულკი.

### ფინლიანდია

**ჰელსინგფორსი.** შუა დღის პირველ საათზე დაიხურა მორიგი სეიმი. ტალმან სვინხუვუდმა სასახლის დარბაზში ფინურ ენაზე მიმართა გენერალ-გუბერნატორს: სეიმის სახელით ვუცხადებ უქვეშევრდომილეს გრძნობებს და მოწიწებით პატივისცემას ხელმწიფე იმპერატორს და დიდ მთავარსო. სვინხუვუდის სიტყვა თარჯიმანმა რუსულად გაიმეორა. გენერალ ლეიტენანტმა ზეინმა სეიმი დახურულად გამოაცხადა და ცერემონიალური წესრიგით მიატოვა დარბაზი.

### ოსმალეთი

**სტამბოლი** საზღვაო მინისტრმა ხალილ-ფაშამ ავადმყოფობის მიზეზით სამსახურს თავი მიანება. პოლიტიკურ წრეებში მის წასვლას ინგლისის ინსტრუქტორ ადმირალ ვილიამსთან მომხდარ უთანხმოებას აწერენ.

### ჰაერში ფრენა.

**ნიუ-იორკი.** ავიატორმა კურტისმა 10,000 დოლარი პრიზი მიიღო. კურტისი აფრინდა ოლბენში შვიდ საათზე, ჩამოეშვა 10 საათსა და 40 წ. მანგატანაილენდში, საჭირო ნავთი წაიღო და ისევ 11 საათსა და 35 წუთზე გუვერნორაილენდის აკენ გაფრინდა.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** მოხდა კრებაჩრუს დელეგატებისა, რომელნიც 1908 წელს სლავიანთა კრებას დაესწრნენ პრაგაში. კრებამ სლავიანთა სოფიის კრებაში მონაწილეობის საკითხი განიხილა. რუსეთიდან კრებაზე 80 დელეგატი გაიგზავნება. კომიტეტში, რომელმაც ბოლგარეთში წასვლა უნდა მოაწყოს, მოჰყვნენ გიჟიცკი, ვერბუნი და კომაროვი.

**ჩერნი.** გადაწყდა გაიხსნას ქალთა პროგიმნაზია თუ ერობა დაეხმარება. პირველ ხელის მოწერაზე 1700 მანეთი შეაგროვეს.

**მიტავა.** საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ სამართალში მისცა ტუკუმის გამგეობის ორი წევრი და სარევიზიო კომისიის სამი წევრი. მათ ბრალდებათ უმოქმედობა და სამსახურისადმი გულგრილობა, რის გამოც ქალაქის თანხიდან გაიფლანგა 37836 მანეთი, ხოლო იზოლთა დამხმა'ე კასიდან 14835 მანეთი. ქალაქის თავის შესახებ საქმე შეჩერებულია, რადგან იგი ჯერ ვერ უპოვნიათ.

**მინსკი.** პოლონეთის განმანათლებელი საზოგადოება „ოგნისკო" შემდეგი მიზეზით დახურეს: მან გახსნა უნება-დაურთველოდ წიგნთ-საცავი, საქმეებს პოლონურ ენაზე აწარმოებდა და ფულით დახმარება აღმოუჩინა უკვე დახურულ განმანათლებელ საზოგადოებას „ოსვიატას", რომელიც ფარულ სკოლებს ხსნიდა და პოლონელ ელემენტების შეერთებას ხელს უწყობდა.

**როვნო.** პოლიციამ შეიპყრო ყაჩაღთა ბრბო, რომელიც მაზრაში თარეშობდა. შეპყრობილთა შორის სამი ქალია.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა საკანონმდებლო დაწესებულებაში შესატანი კანონ-პროექტი, რომლითაც ნიკოლაევის მთავარ ფიზიკურ ობსერვატორიას უნდა დაენიშნოს რედიტი ამინდის წინდაწინ საჩვენებლად სოფლის მცხოვრებთათვის.

**პეტერბურგი.** უნივერსიტეტის პრორექტორათ აირჩიეს ეკლესიის ისტორიის კათედრის პროფესორი ანდრეევი.

**ნიკოლაევი.** ღამით გაჩხრიკეს ფრენკელის საექსპერტო კანტორა. ამ ჩხრეკას კავშირი აქვს ოდესის საინტენდანტოს რევიზიასთან. წაიღეს წიგნები და მიწერ-მოწერა.

**პეტერბურგი.** პორტში დაიწვა ხოროსტოვსკის, კნიპისდა ვერნერის 3000 ფუთი ბამბა.

**პეტერბურგი** შეიპყრეს ვარშავის მცხოვრები ჩერნეცკი და უფლება ჩამორთმეული ვალეშკო, რომელთაც პეტერბურგის ხაზინიდან ყალბ დოკუმენტებით 12,000 მანეთი გაიტანეს. ვალეშკოს ამას გარდა ისიდ ბრალდება, რომ ამნაირივე დოკუმენტებით იგი ვილნოს ხაზინიდან ფულის გატანას ცდილობდა.

**პეტერბურგი.** „სვეტის" რედაქტორი „ძველ სიეკლესიო წესების მომხრეთა დეპუტაცია იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულთან"-ის დაბეჭდვისათვის 300 მანეთით დაჯარიმებულ იქმნა.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

**გაზეთის დაჯარიმება.** ტფილისის გუბერნატორმა 100 მან. დააჯარიმა „ნოვაია რეჩ"-ის რედაქტორი რ. ბებიაშვილი გაზეთის № 105-ში წერილის მოთავსებისთვის „რუსული ენის ეგზამენებს, გიმნაზიებში". თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთი თვით დააპატიმრებენ.

**ჩარჩები.** ეს რამდენიმე დღეა ტფილისის პოლიცმეისტერი ყოველ დღე დაიარება სალდათის ბაზარში, რათა შეამოწმოს ხმები იმის შესახებ, რომ ჩარჩები სანოვაგეს ხელოვნურად აძვირებენ და ქალაქის სავალდებულო დადგენილებებს არ ემორჩილებიანო.

**უკვალოდ დაკარგული.** 10 მაისს ტფილისში უკვალოდ დაიკარგა პერესელოჩნი ქუჩაზე მცხოვრები ავეტიქ გალუსტოვი, 19 წლისა.

**თავის მოწამვლა.** 17 მაისს ღამის 12 საათზე მუშტაიდის ბაღში თავის მოკვლის განზრახვით ვარვარა დეკტიარევამ ნიშადურის სპირტი დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მისი მდგომარეობა საშიშია.

**ექსკურსია.** როგორც გვატყობინებენ, 15 მაისს კიევიდან გამოსულა იქაურ სტუდენტთა ექსკურსია. ექსკურსანტები ტფილისში 20 მაისს იქნებიან.

**სასამართლო სესია.** 16 მაისს დუშეთში გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია სისხლის სამართლის რამდენიმე საქმის გასარჩევად.

**უპასპორტონი.** 17 მაისს პოლიციამ მასიურ ჩხრეკის დროს ქალაქის სხვა და სხვა უბანში 50-ზე მეტი უპასპორტო დააპატიმრა.

**იურიდიული საზოგადოება.** 21 მაისს იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრება მოხდება. კრება მოისმენს მ. ნ. ათაბეგოვის მოხსენებას იმის შესახებ, თუ რამდენად მოსახერხებელია ქალაქის საბჭოს ხმოსანს თვითმართველობაში ფასიანი თანამდებობანი ეჭიროს...

**ბატაილის გადაყენება.** ტრამვაის მოძრაობის ზედამხედველმა ალექსანდროვმა მოსამსახურეებს აცნობა, რომ უსახელო საზოგადოების უმთავრესმა გამგეობამ ბატაილი დირექტორობიდან გადააყენა და მის ადგილას დანიშნა ხარკოვის ტრამვაის ყოფილი დირექტორი ბელოვიო. ბელოვია 16 მაისს ჩამოვიდა თფილისში და დღეიდან შეუდგება თანამდებობის ასრულებას. („ჩ. გ.")

# ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

**აკადემიკოსის ნ. მარრის ახალი შრომა!**

„შესავალი და დასასრული რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნისა". ქალის თაყვანისცემა და რაინდობა პოემაში".*)

ქართულის ლიტერატურისათვის ბ. ნ. მარრის ახალი ნაწარმოები ნამდვილად სადღესასწაულო მოვლენაა. ასეთი დასაბუთებული და ღრმა გამოკვლევა „ვეფხის-ტყაოსნისა" რასაკვირველია პირველია. ამ შრომის წყალობით ნათელი ეფინება „ვეფხის-ტყაოსნის" მრავალ ადგილს დღემდის გაუგებარს და რამდენადაც კი დღევანდელს გარემოებებში შესაძლებელია სავსებით გამორკვეულია მთელი შესავალი და დასასრული ჩვენის დიდებულის პოემისა. ბ. ნ. მარრის შესავალი სულ ახალ გეგმაზედა აქვს დაწყობილი, და ამის საბუთად ბრძანებს, მარტო მკითხველის აზრი უნდა მოვიყვანოო; თუ ამგვარი დაწყობა მკითხველს ნათლად ვერ დაანახვებს მის კანონიერებასა და მას იგი არ მოეწონება ხხვამ დამამტკიცებულ საბუთს ვერ მოვიყვანო". რასაკვირველია ასეთს დაწყობას აქვს თავისი მოსაზრება, თავისი ლოღიკა, და შესაძლოა მომავალში კიდევაც გაამართლოს რომელიმე ახალის ხელთნაწერის აღმოჩენამ. იქნება ვისმეს კიდევაცა ჰქონდეს ისეთი ხელთნაწერი, რომლის შესავალის დაწყობა უაბლოვდება ბ. ნ. მარრისას. თუ ეს ასე მოხდა ბ. ნ. მარრის მეცნიერული გამჭრიახობა პირდაპირ გაოცებას გამოიწვევს. შეუდარებელია ბ. ნ. მარრის აზრები პოემის ორის უმთავრესის საგნის— ქალის თაყვანისცემისა და რაინდობის შესახებ. შოთას აზრები ქალისა და სიყვარულის შესახებ ისეთივეა, როგორც ფეოდალურის ევროპისაო, მაგრამ ქალის თაყვანისცემა ამ დროში აღმოსავლეთშიაც დიდაც მიღებული იყო. ამიტომ შესაძლოა რუსთაველი სპარსეთის მწერლობის ზედგავლენის ქვეშ იყოს, როცა ასეთს მაღალ აზრებს გვამცნებს ამ საგნის შესახებაო. მაგრამ კიდევაც რომ მივიღოთ უეჭველად ის ფაქტი, რომ სპარსეთის ლიტერატურის ნაწარმოებებში, რომელნიც ხელთა ჰქონდა რუსთაველს, იმგვარივე აზრები იყო გამოთქმული ქალისა და სიყვარულის შესახებ რომელნიც „ვეფხვის-ტყაოსანშია", ეს მაინც არა კმარა იმის ასახსნელად, თუ რა ადგილობრივის პირობების ზედ-გავლენის ქვეშ იყო შესაძლებელი რუსთველის მიერ ასეთის აზრების ქადაგება დიდად საყურადღებოაო, ბრძანებს ბ. მარრი, რომ მე-12-ე საუკუნის საქართველოში იყო ისეთი პირობები, რომელნიც ხელსაყრელნი იყვნენ ასეთის აზრების აღმოცენებისა და განვითარებისათვისაო. ერთ ამ პირობას ეკუთვნის საქართველოში ნეოპლატონიკურის ფილოსოფიის გავრცელება მე-10—12 საუკუნეში. ნეოპლატონიკობის გავლენის ქვეშ იყო უეჭველად რუსთაველი, ვინაიდან მისი პოემის ადგილები შეურყეველ საბუთს გვაძლევენ იმისას, რომ შოთა განსწავლული იყო ნეოპლატონიკურს ფილოსოფიაშიო. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც შეუძლებელი იყო მარტო და მხოლოდ ლიტერატურულის ზედ-გავლენის ქვეშ აღმცენებულიყო ასეთი მაღალი აზრი ქალისა და სიყვარულის შესახებ თვით იმ დროის საზოგადოებაში რომ არ ყოფილიყო მომზადებული ფსიხოლოგიური და ზნეობრივი ნიადაგი ამგვარის აზრების მისაღებად. განსაკუთრებული „ფსიხოლოგიური მომწიფება" იყო საჭირო, რომ მართლმადიდებლის ეკკლესიის გავლენის ქვეშ მყოფი საზოგადოება ამგვარ აზრებს დადგომოდა და ასეთი მძიმე უღელი თავიდამ მოეშორებინა. მსხვერპლიც კი იყო საჭირო მისთვის, რომ გამკლავებოდა საეკკლესიო შეხედულებას ამ ქვეყნიერი სიყვარულის შესახებ, ეკკლესია ქადაგობდა, რომ იგი გრძნობა სამარცხვინო გრძნობაა, „ეშმაკისგან დაგებული მახე" და სხვა ამგვარს დიდი გაბედულება და ბრძოლა იყო საჭირო რომ ეს შეცვლილიყო სრულიად სხვა აზრად და ამ ქვეყნიერი სიყვარული იმ სიმაღლემდის აეყვანათ, რა სიმაღლემდისაც იგი შოთასა აქვს აყვანილი, თავისს შესანიშნავ კომენტარიებში შესავალის შესახებ ბ. მარრი იმ აზრს ადგია, რომ შოთა სწორედ ამ ახალის, საერო აზრის მოციქული იყო და სასტიკი დამცველი, ამიტომაც ყოველივე ტაეპი, რომელშიაც ძველი საეკკლესიო დახავსებული გრძნობა და აზრი გამსჭვივს ყალბად მიაჩნია.

ყოველივე ზემოთმოყვანილი აზრი ცხადად ამტკიცებს, რომ მარრი ფრიად მაღლად აყენებს ვეფხის-ტყაოსანს და იმ კულტურასაც, რომელზედაც შესაძლებელი იყო აღმოცენებულიყო ეს მშვენიერი პოემა. ქართველებს სამართლიანად მიაჩნიად ეს ნაწარმოები, ვითა უდიდესი გამომხატველი მათის გენიოსობისა ლიტერატურაშიო, ინსტიქტიურად აფასებენ მის ავტორში თანამედროვეს მათის პოლიტიკურის ძლიერებისა და ბრწყინვალებისას, და ვეფხის - ტყაოსანს დიდი ხნიდან სთვლიან საეროვნო დიდებად, კიდევ მეტი. დიდებულ განძად სამშობლო ისტორიულის ცხოვრების" წმინდათა წმინდად". ყველა ამის შემდეგ, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ადგილი ბ. მარრის, ნარნარ მესისარომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ზოგიერთში ჩვეულებრივი ეჭვები. ეგ ადგილი სხოლიოშია მოქცეული და არა ტექსტში და შესაძლებელია ცოტათი არ იყოს იმ სამარცხვინო პოლემიკით იყოს გამწვეული რომელიც გაუმართეს ბ. მარრს ჩვენმა უვიცმა მამალუყინწა „მეცნიერებმა". ასეთის ვაჟბატონების წყალობით ყოვლად შეუძლებელია რომელიმე მეცნიერმა შესძლოს მშვიდადა და წყნარად გამოიკვლიოს საგანი. რაც უნდა დიდი, მეცნიერი იყოს ის ყოველთვის ადამიანია და უსათუოდ ჩვეულებრივ მომაკვდავზედ წაცილებიაი უფრო გრძნობიერი აპპარატი, რომელზედაც ყოველივე მოვლენა თავისებურ ბეჭედს ასვამს. ჩვენის აზრით ბ. მარრის ეს ადგილი1) სწორედ ამ პირობებში უნდა იყოს დაწერილი, ბ. მარრი აქ ეკამათება ბ. იუს. აბულაძეს, „ვეფხვის-ტყაოსნის" თუ შეიძლება ასე ვსთქვათ „ორიგინალობის" შესახებ, ასეთი აზრი აქვს გამოთქმული ბ. აბულაძეს (ძველი საქართველო ტ. I გვ. 111) „ის („ამბავი სპარსული") იყო „ამბად ნათქვამი", ეს—„წყობილი მარგალიტია", ამ

*) Тексты и разысканія кп. 12.

1) გვ. XI ხზღლიდ.

# გამშვიდობება გადასახლებულისა

არც აქ მქონდა სახლი და კარი,
სადაც მივდივარ არც იქ მექნება,
მაგრამ სამშობლო მე გაძევებულს
მომაგონდება, დამენატრება!
არც აქ მქონია ტკბილი სიცოცხლე,
სადაც მივდივარ არც იქ მექნება.
იქ დანადგლებულს და დაფიქრებულს
მაინც სამშობლო მომაგონდება!
მომაგონდება იმისი კვნესა,
ცრემლი, ვაება, მტრისა მახვილი
და მათთან ერთათ, ვით სთქვა შოეტმა
ძილშიც კი მწარე ამოძახილი!
მშვიდობით, ჩემო მორთულო მთავ,
ორი ზღვის ჯიდავ—კავკასიონო,
შენ აღაზანო დარბაისელო,
და კლდის ნაფეთქო ცელქო რიონო!
მშვიდობით, ვიცი შენი მთა, ველი
ბევრჯელ და ბევრჯელ მომაგონდება,
მაგრამ შენს მკერდის ჩასახუტებლად
მხოლოდ ოცნება გადმოფრინდება!
ის შემოგვლის ღამაზს გარშემო,
სადამოს მწუხრზე, დილის სიოზე
და კვლავ შეკრთება რომ ნახავს ჯვარსა,
ჯვარს გოლგოთისას კავკასიონზე!
შენ რადა გითხრა ყვავილის ლანდო
კარგახანია გითხარ მშვიდობით,
მაგრამ მე მახსოვს შენს გულზე ვარდი
და ჩვენ ორივე იმას შევსტრფოდით.
მახსოვს მე ეხლაც წყაროს წკრიალი,
ჯეჯილი თითქოს ახლაც შრიალებს,
მაგრამ ყვავილი ქარს წაუღია
და ის ჭაობის გულში ტრიალებს!
ყვავილის ლანდო, მაინც მშვიდობით
და როგორც სტრფოს არ გქრახება:
გული ღომისა, ბუხქი კი ჩიტის;
რაწამს ყორანი დაიყეფება!
დიახ, მშვიდობით და მოგონებაც
მხოლოთ მას სტირის, იმასა თხრავს,
რომ ჩემი ჩანგი სამშობლოს მკერდზე,
ვეღარ იჟღერებს, ვეღარ დაუკრავს.

ი. ევდოშვილი.

# მუნიციპალური სოციალიზმი

(შემდეგი*)

ძირითადი და მთავარი განსხვავება ძველსა და ახალ კანონებს შორის ის არის, რაიც ჩვენ ზემოდ მოვიხსენეთ. მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ხასიათს და მთელ მიმართულებას მუნიციპალურ თვითმოქმედებისას, ძველის საქალაქო დებულებით, შეიცავს კანონის იმ დადგენილებას, რომლის თანახმად გუბერნატორი თვალყურს ადევნებს მხოლოდ იმას, თუ რამდენად კანონიერია ქალაქის თვითმართველობის ორგანოების მოქმედებანი. თანაბარი მუხლები ეხლანდელი დებულებისა კი (1892 წ. მუხ. 11 და 83) აძლევენ გუბერნატორს უფლებას, თვალყური ადევნოს არა მარტო საბჭოს გადაწყვეტილებათა „კანონიერებას", არამედ მათ „სისწორესაც", ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, გუბერნატორს ნება ეძლევა განიხილოს საბჭოს გარდაწყვეტილებანი არა მარტო კანონიერების მხრივ, არამედ იმ მხრივაც, თუ რამდენად ეთანაბრებიან ეს გარდაწყვეტილებანი „საერთო სახელმწიფო სარგებლობას და საჭიროებებს" ან „ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს". როგორც ჰხედავთ, კანონის ამ დადგენილების წყალობით, ქალაქის თვითმართველობა სრულიად უთანასწორდება ბიუროკრატიულ დაწესებულებას, რომელიც მოქმედებს უმაღლესს და დაბალ ადმინისტრაციის ბრძანებით. ცენტრალურ უფლების წარმომადგენელთ საშუალება ეძლევათ დაადვან თავიანთი veto ქალაქის საბჭოთა ყველა დადგენილებას, ისეთ დადგენილებებსაც კი, რომელნიც წმინდა სამეურნეო საკითხებს ეხებიან. ქალაქის მუნიციპალური ქრონიკა, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ რუსულ პრესსაში, ყოველ დღე აღნიშნავს თვითნებობის საოცარ შემთხვევებს მმართველობითი უფლების აგენტების მხრივ.

ეხლა, მაგ., პეტერბურგში, იმპერიის დედა-ქალაქში, მთავრობამ განიზრახა ერთიანად გამოაცალოს ქალაქს ხელიდან წყლისა და კანალიზაციის საქმე. ამ მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეადგინა პროექტი ქალაქის იძულებითი განმართლებისა, რომლის სისრულეში მოსაყვანათ უნდა შედგეს წმინდა ბიუროკრატიული კომისია. განზრახულ საქმისათვის საჭირო საშუალებათა მოპოვებას მთავრობა ჰფიქრობს ას მილიონის სესხის აღებით, ქალაქის თვითმართველობის დაუკითხავათ, რაიცა ხელს არ უშლის მას ყველა ვალდებულებანი სესხისა ქალაქს დააკისროს. მინისტრთა საბჭომ, განიხილა რა ეს პროექტი და მოიწონა იგი, შეიტანა კიდეც სახელმწიფო სათათბიროში.

რუსის მთავრობის დასახასიათებლათ მეტი არ იქნება აქვე აღვნუსხოთ ის მიზეზები, რომელნიც ვითომც და აიძულებენ მას გარდადგას ასეთი ნაბიჯი. ეს მიზეზები ჩამოთვლილია პროექტში და შემდეგში მდგომარეობენ: 1) კანალიზაციის და წყლის-საყვანის პროექტის დეტალურათ შემუშავებისათვის ქალაქის თვითმართველობას საკმაო ტეხნიკური ძალები არ მოეპოვება; 2) თავისუფალ საშუალებათა უქონლობა და 3) ის გარემოება, რომ ქალაქის საბჭო უმეტესათ სახლის პატრონთაგან შესდგება.

ამ ინციდენტმა დიდი მითქმა-მოთქმა და პროტესტები გამოიწვია ქალაქ პეტერბურგის წარმომადგენელთა პროგრესიულ ნაწილის მხრით. ჯერ-ჯერობით ვერას ვიტყვით, თუ რით გათავდება კონფლიკტი.

როგორც ჰხედავთ, მთავრობის უნდობლობა საზოგადოებრივ ძალებისადმი ისე შორს წავიდა, რომ მან უკვე ფორმალურათაც დააწესა ოპეკა ქალაქის თვითმართველობაზე.

თუ რამდენათ აბუჩათ აგდებულია, ადგილობრივ თვითმართველობის როლი რუსეთის იმპერიაში, მჟღერმეტყველურათ მტკიცდება იმითაც, რომ ყველა ქალაქების და ერობების ბიუჯეტები ძლივს უდრის 275 მილ. მანეთს, მაშინ როდესაც, მაგ., ინგლისში სახელმწიფოს და ადგილობრივ თვითმართველობის ბიუჯეტები თითქმის თანასწორია. ეს იმიტომ არის, რომ რუსეთში თვითმართველობის როლს ცენტრალური მთავრობა და კერძოთ შინაგან საქმეთა სამინისტრო ასრულებს, ინგლისში კი, პირიქით, თითქმის მთელი შინაური მართვა-გამგეობა ადგილობრივ თვითმართველობის ხელშია. ამიტომაც არის, რომ ეს მმართვა გამგეობა ინგლისის ხაზინას თითქმის არაფერი უზის, მაშინ როდესაც რუსეთში იგი აუარებელ საშუალებებს ჰნთქავს.

სხვანაირათ რომ მოწყობილიყო საქმე რუსეთში, ეს დიდ გაუგებარი რამ იქმნებოდა. განა შესაძლებელია პოლიტიკური აბსოლიუტიზმის პრინციპის მოთავსება ავტონომიის პრინციპთან, საზოგადოებრივ ცხოვრების რომელ სფერაშიაც არ უნდა იყვეს გატარებული ეს უკანასკნელი? ეს მოუთავსებლობა არა ერთხელ იქმნა აღიარებული, მართველობით პოლიტიკის მეთაურთაგან ერთხელ შინაგან საქმეთა მინისტრის პლევეს წინაშე რუსის ერთმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა მოხდეს თვითმმართველობის ძირეული რეფორმა დემოკრატიულ პრინციპებზეო. ამაზე ყოვლად ძლიერმა დიქტატორმა ასე უპასუხა: „სახელმწიფოს არ შეუძლია ხელიდან გაუშვას საქალაქო დებულება, ვინაიდან თვითმმართველობასთან მოჰყვება საკითხი მთელი სახელმწიფო სისტემის გარდაქმნისა; ერობებს და ქალაქებს შეუძლიათ ჩვენში იარსებონ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს ადგილობრივ საჭიროებათა გასაგებლათო".

ჩვენ ამ თავის დასაწყისში მივუთითეთ ერთს მეტად სერიოზულ მუხლს სოციალისტთა მუნიციპალურ პროგრამაში ეს სახელდობრ კომუნათა შორის თავისუფალ შეთანხმების უფლებას. როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, ჯერ კიდევ პარიზის 1900 წლ. ინტერნაციონალური კონგრესსი ლაპარაკობდა სათემო ფედერაციების დაარსებაზე იმ შემთხვევისათვის, თუ ცალკე კომუნებს არ შეეძლებათ თავის საშუალებით, თავის ძალ-ღონით იბრძოლონ განზრახულ რეფორმათა განხორციელებისათვის. საყოველთაოთ ცნობილი აფორიზმი, რომ ერთობა ჰქმნის ძალასაო, ერთობ დიდ მნიშვნელობას პოულობს თანამედროვე მუნიციპალურ ცხოვრებაში. საქმე ის არის, რომ სოციალისტურ მუნიციპალურ პროგრამის განხორციელება დიდ წინააღმდეგობას შეჰხვდევა სახელმწიფოს ცენტრალურ უფლების და საზოგადოების ბურჟუაზიულ კლასსების მხრით, რომელნიც არა თუ ასეთს, წმინდა დემოკრატიულ პროგრამასაც კი (ზოგჯან მაინც), ვერ ურიგდებიან. მაშასადამე, მუდმივი კონ-

*) იხ. „სახალ. გაზ." N 9.

აზრს ჩვენც ვეთანხმებითო ბრძანებს ბ. მარრი, ეს არა ერთხელ გამოგითქვამს და კიდევაც ვიმეორებთო მარტო ამის შესახებ ჩვენს აზრში არავითარი ცვლილება არ მომხდარაო (ამ ადგილს უეჭველია პოლემიკის კილო აძევს კ. ა.). მაგრამ, განაგრძობს ბ. მარრი როცა ბ. აბულაძე გვარწმუნებს, რომ „ის (ამბავი სპარსული) იყო „ჩონჩხი, ეს—კი გენიის უმაღლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებიაო ამ აზრის პირველი ნაწილი რომელიც „სპარსულ ამბავს“ შეეხება დაუსაბუთებელ და ჯერ-ჯერობით უსაფუძვლო აზრად უნდა მივიჩნიოთო, ვინაიდან სრულიადაც არ არის დამტკიცებული, ვითომ რუსთაველს მარტო არაკი ესესხებიოს სპარსულის დედნიდანაო; წინააღმდეგ, რამდენადაც საგანი გამორკვეულია დღეს დღეობით, ყოლიფერი იმას გვიმტკიცებს, **რომ შოთა მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ „ლექსად გადათქვა“** სპარსული ამბავიო (ხაზი ჩვენია) სულ სხვა საქმეა რასაკვირველია რაგვარი იყო ეს ლექსად „გარდათქმა“ („стихотворное переложеніе“) მე კი ვიტყოდიო ბრძანებს ბ. მარრი „გარდაქმნა“ (претвореніе) ანუ „პოეტური შემოქმედება“ შოთასიო? რა შეიტანა ახალი ამ ნაწარმოებში რუსთაველმაო? სპარსულის დედნის შესახებ ჩვენ არა ვიცით რა; კიდევაც მარტო არაკი, რომ ესესხებია შოთას, ეს არაფერს არ გვეტყოდა „სპარსულის ამბავის“ ღირსების შესახებ. თვით რუსთველიც კი ძლიერ მაღლა აყენებდა ამ დედნის ქართულ თარგმანსაც, ამ ამბავს „ქართულად ნათარგმანებს“, ვინაიდან „—ობოლ მარგალიტს“ უწოდებსო, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს „ამბავი სპარსული“ **უსათუოდ ლექსად დაწერილი იყო** სპარსულად (ხაზი ჩვენია) და ბევრად უფრო მაღლა იდგა იმ დედანზედ, რომელიც შოთას ხელთა სჭნდაო“. ექვი შეიძლება აღძრას ზოგიერთ სხვა გვარად განწყობილ ვაჟ ბატონებში ჩვენგან ხაზ გასმულმა აზრმა ბ. მარრისამ, ვითომ „ვეფხვის ტყაოსანი“ „ლექსად გარდათქმული“ იყოს (переложено), ვინაიდან—იტყვიან — ამბავის ლექსად გარდათქმა უბრალო მოშაირესაც კი შეუძლიაო. მაგრამ ბ. მარრი ქვეით თვითვე განმარტავს და განავითარებს ამ აზრსა: **„რუსთაველმა კი არ გარდაოქვა** (переложено), **გარდაჰქმნაო** (претвореніе). ეს, რასაკვირველია, სულ სხვაა, **გარდაქმნა** სრულიად შეეფერება გენიოსსაც, და მაშასადამე რუსთაველის სახელს ერთ ბეწო ლანდსაც არ აყენებს. თვით დასაწყისში ბ. მარრი ამას ბრძანებს, რომ **„ვეფხვის-ტყაოსანის“ არაკი (სიუჟეტი) ნასესხებია სპარსულის ლიტერატურიდან, მაგრამ დღემდის ვერ მოგვიპოვებია არა თუ თვით დედანი კვალიცვი ვერ მიგვიგნია მისით“**. ამ საგნის შესახებ ეს ერთად ერთი მეცნიერული ტეზისია, რომელიც მიღებულ და აღსარებულ უნდა იქმნეს, ამის მეტის თქმა კი რისკვით აღსავსე ჰიპოტეზა იქმნება.

რუსთაველს ბ. მარრი ძლიერ მაღლა აყენებს. მთელის წიგნაკიდანა სჩანს და მის ორგინალობას უეჭველად ჰხედის იქაც კი, სადაც უფრო ადვილად შესაძლებელი იყო საეჭვოდ გეხადა რუსთველის აზრების ქალისა, სიყვარულისა და რაინდობის შესახებ), მაგრამ ვიმეორებთ ჩვენგან აღნიშნული ადგილი კიდევ ააყაყანებს ბევრს. რასაკვირველია ამას ბ. მარრი ანგარიშს ვერ გაუწევს და არც უნდა გაუწიოს. მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო არ მიგვექცია ამ ადგილისათვის ყურადღება და არ განგვემარტა იგი, რათა წინდაწინვე აგვეალაგმა ზოგიერთთა უსაფუძვლო ეჭვიანობა. ამ ჩინებულის მარის უეჭველი დასკვნა შემდეგია:

1. რუსთაველის პოემის ამბავი ნასესხებია, რომელიმე, სპარსულის მოთხრობისაგან, რომელიც ქართულად პროზად იყო გადმოთარგმნილი.

2. ეს ამბავი ქართულ ორგინალში ჰქონდა ხელში რუსთაველს და მან ეს ამბავი **გარდაჰქმნა** გენიოსურ ნაწარმოებად.

3. სპარსულის დედნის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება, ვინაიდან იმის კვალიც კი ვერ მიგვიგნია ჯერსოლო. თუ გინდ ეს დედანი „ობოლი მარგალიტიც“ იყო, ეს სრულიადაც არ დაამცირებს რუსთაველის ნაწარმოებს და არავითარ ჩრდილს არ მიაყენებს მის გენიოსურ გარდაქმნას.

დასასრულ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ რომ აკადემიკოსის ნ. მარრის შრომა შესანიშნავია და ბადალი არა აქვს „ვეფხვის ტყაოსნის შესახებ გამოკვლევათა შორის. ვეფხვის ტყაოსნის საერო კილო და მიმართულება სამაგალითოდ არის გამორკვეული. მოუთმენლად მოველოდებით იმ დღეს როცა ბ. ბ. მარი მთელს „ვეფხის ტყაოსანს“ მოგვცემს ესოდენ შესანიშნავის კომენტარიებით. მაშინ შეიძლება დანამდვილებით სთქვას კაცმა, რომ ქართულის ოქროს ხანის ლიტერატურის განახლებისა და აღდგომის დღე დამდგარია*).

**კიტა აბაშიძე.**

*) მივაქცევთ ჩვენ გამომცემელ საზოგადოებათა ყურადღებას ამ წიგნს და ურჩევთ გადათარგმნონ და გამოსცენ. ჩვენის აზრით უფრო კარგი იქნებოდა რომ „ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზოგადოების“ გამგეობას ეკისრა და მის გამოცემის ერთ ერთ ტომში მოექცია ეს დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევა. მას ვისაც სურს არა თუ შესწავლა წაკითხვა „ვეფხვის ტყაოსნისა“ ამ შრომას გვერდს ვერ აუხვევს.

# კანონები არა-რუსთა სასწავლებლებზედ.

(საერო სასწავლებელთა საყურადღებოდ)

სახალხო განათლების მინისტრის მიერ დამტკიცებულია კანონები პირველ-დაწყებითი სასწავლებლებისა არა რუსთათვის, რომელნიც შეიმუშავა განსაკუთრებულმა კომისიამ სამინისტროში, მუსულმანთა წარმომადგენლების თანადასწრებით. თანახმად აღნიშნული კანონებისა, (იხ. „Прав. В.“ 1907 г., № 252) პირველ დაწყებითი სწავლების იარაღად არა-რუსთა სკოლებში დაწესებულია **სამშობლო ენა მოსწავლეთა,** ესე იგი ის ენა, რომელზედაც ისინი ლაპარაკობენ ოჯახში, არა რუსთათვის არსდება, როგორც ერთ-კლასიანი ისე ორ-კლასიანი სასწავლებლები. ამასთანავე შესაძლებელია ადგილობრივ პირობების მიხედვით გახსნილი იქმნას ერთ-კლასიანი სასწავლებლები ორი განყოფილებითაც. სასწავლო საგნებად ასეთ სასწავლებლებში ითვლება სამღვთო სჯული, სამშობლო, ენა რუსული ენა, ანგარიში და გალობა; ორ-კლასიანებში კი ამ საგნების გარდა უნდა ისწავლებოდეს რუსეთის ისტორია, გეოგრაფია, ბუნების მეტყველობა, ხატვა და ელემენტარული ცნობები გეომეტრიიდან. სამღვთო სჯულის სწავლება მართლმადიდებელთათვის დადგენილია **სამშობლო ენაზე კურსის დამთავრებამდე.** შესაძლებელია ეს საგანი ისწავლებოდეს **რუსულ ენაზედაც,** თუ ეს უკანასკნელი საკმაოდ შეთვისებული აქვთ ბავშვებს და მშობლების მხრითაც არავითარი მიზეზები არ შეხვდება. უცხო სარწმუნოების სჯული ისწავლება ხალხის რელიგიური მოთხოვნილებისა დაგვარად. სამშობლო ენა ბავშებისა **პირველ ორ წელიწადს** ითვლება სწავლების ენად, შემდეგ წლებში კი საგნები ისწავლება რუსულ ენაზედ, ხოლო სამშობლო ენა რჩება **საგნადაც და იარაღადაც** სხვა საგნების რუსულ ენაზე სწავლების გასაადვილებლად. სწავლება რუსულ ენისა, **სამშობლო ენის შემწეობით,** იწყება ზეპირი ვარჯიშობით არა უგვიანეს **პირველი სამოსწავლო წლის მეორე ნახევრისა.** თუ სასწავლებელში გალობა, შემოღებული, იგი ისწავლება, როგორც რუსულ, ისე სამშობლო ენაზე. მასწავლებლებად არა რუსთა სკოლებში რუსები არ უნდა იქმნენ დანიშნულნი, თუ მათ მოსწავლეთა **სამშობლო ენა არ ეცოდინებათ.** ასეთ შემთხვევაში მათი დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ უფროს განყოფილებებში. სამღვთო სჯულის მასწავლებლად შეიძლება იქმნენ მოწვეულნი, როგორც სასულიერო პირნი აგრეთვე **მასწავლებელნი ერის კაცნი** სათანადო სარწმუნოებისა და ცოდნისა.

მოქმედება ამ კანონებისა ვრცელდება შემდეგ სამოსწავლო ოლქებზე: ყაზანის, ორენბურგის, ოდესის, **კავკასიის,** დასავლეთ-ციმბირის, აგრეთვე თურქესტანის, ირკუტსკის და პრიამურის საგენერალ - გუბერნატოროს გუბერნიებზე—აქედან და პირველი ჩემი წერილიდან (იხ. სახალხო გაზეთი №3) ნათლად სჩანს, ჰქონია თუ არა ადგილი სამშობლო ენას არა რუსთა სკოლებში და დღეს თუ აბუჩად არის აგდებული სამშობლო ენა ჩვენ სახალხო სკოლებში სამოსწავლო მთავრობის ბრალია ეს უფრო თუ მათი მასწავლებლების.

**ლადო ბზვანელი.**

# მოწერილი ამბები

**ს. ჩიბათი.** (გურია) დიდი ხანია, რაც გურიაში წვიმები არ მოსულა, რის გამოც ყანების თესვაც შეჩერდა და თუ ასე გაგრძელდა მომავალში შიმშილობა აუცილებელი იქნება. ამასთან თითქოს განგება, ძველ სიმინდსაც აჰელა გაუჩნდა და საფიქრელია, რომ სათესლედ ივარგოს. ასე ჩვენ თვალწინ სამკვდრო სასიცოცხლო კითხვა დაყენებული, გზის მაჩვენებელი და დამრიგებელი კი არავინ არის. მართალია ამ სოფელშიც მოიძებნება მოინტელიგენტო ხალხი, მაგრამ ესენი ბევრს არაფერს დაგიდევენ.

ამ დღებში აქ გარდაიცვალა პლატონ იაგორისძე ჭუონია, რომელიც ხალხის კეთილდღეობის დიდი მოამაგე იყო: მის მეცადინეობით გამხუარში სამკითხველო გაიხსნა; ის ცდილობდა აქ დაეარსებინა წვრილი სკრედიტო დაწესებულება და სხვა. მაგრამ ჩვენ და სამწუხაროდ ულმობელმა სენმა მოუღო ბოლო, რაც ძალიან დიდი დასანანია ამ სოფლისათვის. დარჩენ სხვებიც ვითომდა სახალხო საქმის გულ შემატკივარი მაგრამ დაამთავრებენ თუ არა დაწყებულ საქმეს? „წვრილი კრედიტის“ დასაარსებლად საქმე თითქმის გათავებულია და ცოტა მეცადინეობით დამთავრდება თუ კი ვინმე ჩაუდგება სათავეში საქმეს და ეცდება არა თავისთვის არამედ საზოგადოებისთვის.

**სტაროსტაძე.**

—

**სოფ. მარტყოფი.** (გარედ-კახეთი) იშვიათი წელიწადი იქნება, რომ აქ ადამიანი უვიცობის მსხვერპლად არ გახდეს და ფეხ ქვეშ გაითელოს მეძქვსე მცნება: „არა კაც ჰკლა,“ წელგანდელმა წელიწადმა უფრო დიდი სიმკაცრე გამოიჩინა წინანდელებთან შედარებით. ორ უწინდელ მსხვერპლს, ეხლა კიდევ ორი—მიემატა, ერთი, მეცხვარე ჩიტრეკაშვილი მოჰკლეს მთა იალღოზე, და მეორე, უჯარმაში (დღეობაში). ჩიტრეკაშვილი ცხვარს აძოვებდა მთაზე, როდესაც ვიღაცის უწყალო „ბერდანის“ ტყვიამ გული გაუგმირა. მკვლელობა, როგორც ბევრსა ჰგონია, ადმოცენებულია მურიძიებაზე... მეორის მოკვლა უფრო წინდაწინ ყოფილა განზრახული, რადგან იგი მოხდა მოტყუებით. მკვლელს მიუპატიჟნია თავისკენ ეს ადამიანი და ღვინო დაულევინებია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამათ შორის წინედ რადგანაც უთანხმოება ყოფილა და ეს მიზეზი უნდა მისდგომოდა მსხვერპლს კახარება. მსხვერპლს ჰგონებია, რომ ყოველივე ეს შერიგებისაა. მკვლელმა შეამჩნია თუ არა, რომ სტუმარს ღვინო მოეკიდა, მაშინვე სტაცა მასვე წელზე შემორტყმულ ხანჯალს ხელი და მუცელში ჩაჰკრა. ამ ერთმა დაკვრამ ვერ დააკმაყოფილა და ამიტომ მეორეც არ დაიშურა. მეორე დაკვრასთან ერთად საბრალო ადამიანმა განუტევა სული. მკვლელი ერთი გადმოსახლებულთაგანია...

**გაოცებული.**

—

**ს. კაჭრეთი.** (სიღნაღის მაზრა) 10 ს ამ თვეს სადამოთი უცებ ისეთი კოკისპირული წვიმა მოვიდა ჩვენში, რომ ნიაღვრები მოვარდა, ადიდდა კაჭრეთის შუაზე მიმდინარე ხევი და ხალხის შეუმჩნევლად მოიტაცა სამი ოთხ-რვა-წლის ბავშვი; ეს შეამჩნია გლეხს ლევან ბეჟანაძეს, გამოედევნა, ცოტას იყო თითონაც არ დაიხრჩო, მაგრამ ბოლოს რის ვაი-ვაგლახით 1/4 ვერსის მანძილზედ გამოიყვანა წაღებული ბავშვები და გადაარჩინა. ჯერჯერობით ბავშვები კარგათ არიან.

**კაჭრეთელი გლეხი ხოლოდაშვილი.**

# ფოცხვერაშვილის საღამოს გამო

მუსიკისა მე ცოტა მესმის, უკეთ რომ ვსთქვა—არაფერი. ამიტომ ამ მხრივ ფოცხვერაშვილს დააფასებენ ისინი, ვისაც ეს შეუძლიანთ. მე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ბ-ნ ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველო“-ს შესახებ და საერთოდ ჩვენ სტუდენტობის ავ. კარგზედ. კარგი იქნებოდა ყველამ იმას მოჰკიდოს ხელი, რაც შეუძლიან, მაგრამ მახლას..., ასეთია ადამიანის ბუნება—სცდილობს ნიჭი ყოველ სფერაში გამოიჩინოს: ბ-ნ ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველო“ იმდენად არა ლიტერატურული და უმნიშვნელო ნაწარმოებია, რომ იმაზედ ლაპარაკი არა ღირდა და არც ვილაპარაკებდი, ქართველ სტუდენტობის დაფასებას რომ არ შეხებოდა ავტორი. მე რამდენიმე წვრილი მახსოვს ჩვენ პრესაში სტუდენტების შესახებ და თითქმის ყველა წერილებში ცდილობდნენ მხოლოდ ცუდ მხარეების დახასიათებას. ლოთობა, გარყვნილება, ქალალდის თამაში, უმეცრება, არავითარი იდეური მისწრაფება—აი დამახასიათებელი თვისებანი ქართველ სტუდენტობისა. ამისავე დამტკიცებას მოანდომა ბ-ნ ფოცხვერაშვილმა თავისი სურათი, გაქიანურებული და როგორც სინამდვილეს, ისე მხატვრულ ღირსებას მოკლებული. „აშენდა საქართველო“ გვიხატავს ძალიან უნუგეშო სურათს. ერთის მხრივ ლოთები, გარყვნილები, სულელები, რომელთაც ქეიფობა კაცობრიობის დიად სამსახურად მიაჩნიათ და მზათ არიან თავპირი დაამტვრიონ ერთმანეთს მოქიფის შეურაცყოფის გამო, უმეცარნი—რომელთაც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების სახელებიც კი არ იციან—მეორე მხრივ ღარიბ ღატაკი სტუდენტები, რომელიც მთელ თავის დროს ლუკმა პურის შოვნას ანდომებენ და ცხოვრების იდეალად დაუსახავთ ჩქარა გაათავონ უნივერსიტეტი და ერთი კარგად გაძღნენ. ნივთიერი კეთილ დღეობა და მხოლოდ იმისათვის ცხოვრება არის ერთად ერთი ცხოვრების შინაარსი. რის საზოგადო მოღვაწეობაო, ამბობს ერთი სტუდენტთაგანი, თუ კი ილია ჭავჭავაძე არ დააფასეს და მოჰკლეს, მე რიღასი იმედი უნდა მქონდესო; ამიტომ საზოგადო მოღვაწეობა სხვას დავუტოვოთ და ჩვენ კი გავძღეთო. (რა შუაშია აქ ილია ჭავჭავაძე ეს ფოცხვერაშვილის სულმა ზღოს). ამათ შორის ავტორმა გამოურია სტუდენტი შიმშილაძე, რომელიც ფიქრობს საზოგადო საქმეზედ, მაგრამ ეს ტიპი ისეთი კარიკატურულია, რომ არ ვიცი, დაცინვით აქვს ავტორს ის გამოყვანილი, თუ მართლია ღირსეულ ტიპად სთვლის. აი ქართველი სტუდენტობა საერთოდ და „აშენდა საქართველო“—ავტორის აზრი. ბ-ნ ფოცხვერაშვილს, რომ ერთი ჯგუფის დახასიათება მოენდომებინა, შარში რომ დაეწერა, მე ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ იგი სცდილობს სტუდენტობის საერთოდ დახასიათებას და თვით სახელითაც კი „აშენდა საქართველო“ იმ აზრს ამტკიცებს, რომ ქართველი სტუდენტობა საერთო ძალიან უნუგეშო მოვლენას წარმოადგენს და ჩალის ფასადაც არა ღირს.

ამიტომ მე მოვალეთა ვსთვლი ჩემ თავს გამოვესარჩლო ქართველ სტუდენტობას, რადგანაც ფოცხვერაშვილისთანა ავტორებს რომ ყური უგდოთ ყალბი წარმოდგენა გვექნება ჩვენ მოზარდ თაობაზედ.

საერთოდ ძალიან ძნელია სტუდენტების მთლიანად დახასიათება.

---

ფლიქტები მთავრობასთან მოსალოდნელია და ამისთანა შემთხვევებში იმ გარემოებას, თუ რა ძალით მივლენ მტერზე, რა ძალით გაუმკლავდებიან მას კომმუნები, ყოველ ექვს გარეშე, დიდი მნიშვნელობა ექმნება. მთავრობას, რომელსაც ადვილად შეუძლია უკუ აგდოს ცალკე კომმუნათა მისთვის არა სასიამოვნო მოთხოვნილებანი, ძნელ მდგომარეობაში ჩავარდება და იძულებული იქმნება დასთმოს ზოგი რამ, როცა მოთხოვნილებანი ყველა კავშირში შესულ კომმუნათაგან გამომდინარეობენ.

კომმუნათა შორის შეთანხმებას, ნამეტურ პატარა, ღარიბ კომმუნებისათვის, კიდევ ის კარგი მხარე აქვს, რომ, სხვებთან კავშირის წყალობით, მათ შეეძლებათ აწარმოვონ თავიანთი მეურნეობა უფრო რაციონალურად საზოგადოებრივ ინტერესების თვალსაზრისით.

ეს უფლება კომუნათა შორის კავშირის შეკვრისა კანონის მიერ ოდნავ აღიარებულია დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში, ხოლო თუ მაინც ვხვდებით პროგრამებში ამის შესახებ მუხლს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უფლება ერთობ შეზღუდულია და მუშათა კლასსი სცდილობს მის გაფართოვებას.

რაც შეეხება რუსეთს, აწინდელ რეჟიმში ასეთ უფლებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. არა თუ კავშირთა კავშირის შედგენაა აღკრძალული არსებულის კანონებით, არამედ უბრალო კავშირთა დაარსებაც დაუსრულებელ, ხშირად უძლეველ დაბრკოლებებს ჰხვდება, 17 ოქტომბრის მანიფესტის მიუხედავად, რომელმაც ხალხს კავშირთა და სხვა თავისუფლება მიანიჭა. რუსის მთავრობის შიში ყოველ საერთოდ დაწყებულ საქმის წინაშე, შიში საზოგადოებრივი ძალების კოლლექტიურ მუშაობის წინაშე იმდენად დიდია, რომ იგი ნებას არ აძლევს ქალაქების წარმომადგენლებს შეიკრიბნენ ერთად აზრთა პირად გაცვლა-გამოცვლისათვის ქალაქის მიმდინარე საქმეების შესახებ, ვინაიდან რუსეთის ქალაქები ძალა-უნებურად იძულებულნი არიან ცალცალკე იმოქმედონ, ამიტომ მათ ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ შეექმნათ ერთი ისეთი უბრალო საერთო დაწესებულება, როგორიც არის ქალაქის საქმეთა საინფორმაციო ბიურო.

შემდეგ, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მუნიციპალური პოლიტიკური პროგრამმა თხოულობს რეფერენდუმის შემოღებას იმ საკითხებში, რომელნიც მუნიციპალიტეტთა კომპეტენციას შეადგენენ. რეფერენდუმის უფლება, რომელიც ჯერ არსად არ არის კანონის მიერ დადასტურებული, აქაც ისეთივე კორრექტივია, როგორც წმინდა საკანონმდებლო სფერაში.

აღვნიშნავთ აქვე, რომ საფრანგეთში, რომელმაც აქამდე **კანონმდებლობითი** რეფერენდუმი არ იცის, მესამე რესპუბლიკის დროს ბევრს ქალაქში ჰქონდა ადგილი **მუნციპალურ** რეფერენდუმს. ეს უკანასკნელი უცხო არ არის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსათვისაც. მაგ., სულ ეხლახანს მოხდა მუნიციპალური რეფერენდუმი რომში. მცხოვრებლებს უნდა გამოეთქვათ თავიანთი აზრი შემდეგ საკითხზე: რომელ სისტემას აქვს უპირატესობა—ქალაქის მიერ პირდაპირი ექსპლოატაციისას თუ კერძო მეწარმეებზე საქმის გადაცემას? საკითხი ეხებოდა ქალაქ რომის ორ დიდ საქმეს: ტრამვაის და საელექტრონო განათებას. მცხოვრებლებთა დიდმა უმეტესობამ მუნიციპალიზაციის სასარგებლოთ მისცა ხმა. ამ რეფერენდუმმა მეტათ დააინტერესა მცხოვრებლები, რაიც იქიდანაც სჩანს, რომ პლებისციტში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა გაცილებით მეტმა რიცხვმა ვიდრე უკანასკნელ ქალაქის არჩევნებში. ბოჰემიაში შემოღებულია მხოლოდ ამომრჩეველთა რეფერენდუმი. არა ყველა მცხოვრებნი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც საქალაქო არჩევნებში აქვთ, მონაწილეობის უფლება იხილავენ ზოგი ერთ მუნიციპალურ საკითხებს, მეტადრე ფინანსიურ ხასიათისას. მათი ვოტუმი სავალდებულოა საბჭოსათვის, რომელიც სწყვეტს საკითხების მათზე გარდაცემას. ამავე ამომრჩევლებს აქვთ აგრეთვე უფლება ბიუჯეტის პროექტს თავისი შენიშვნები გაუკეთონ და ეს შენიშვნები წარუდგინონ საბჭოს, რომელიც მოვალეა ისინი სახეში მიიღოს.

ერთ-ერთი მუხლი მუნიციპალურ პროგრამმის ამ განყოფილებაში ეხება სასყიდლის დანიშვნას როგორც სამუნიციპალო საბჭოების წევრთათვის, ისე საზოგადოთ ყველა საარჩევანო თანამდებობის აღმასრულებელთათვის. ეს მოთხოვნა, რომელიც სულ უკანასკნელ 1908 წლის პროგრამმაში შეტანილი ამ მოსაზრებით არის გამოწვეული, რომ მშრომელთა წარმომადგენლებს, საშუალება მიეცეთ მუნიციპალიტეტებში შესვლისა. აქ, რასაკვირველია, სხვა საზოგადო მოსაზრებასაც ჰქონდა ადგილი—შეძლებისამებრ სამსახურში ბოროტმოქმედებათა შემცირების სურვილს და ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის შესაფერ პირობების შექმნას. კომმუნების დასაპყრობათ საკმაო არ არის მშრომელ მასსების განვითარებული თვითშეგნება, საჭიროა ამასთანავე რეალურად განხორციელდეს მათ ინტერესების დაცვის პირობები ესე იგი საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტებში შევიდეს მშრომელ მასსათა რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელნი, რომელთაც მთელი თავისი დრო მუნიციპალურ სამსახურს უნდა მოანდომონ, რაიც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მათი შრომა შესაფერათ იქმნება დაჯილდოვებული. ის მოვლენა, რომელსაც რუსეთში ვხედავთ ყველგან ქალაქის საბჭოთა ხმოსნების სისტემატიურ აბსენტეიზმს და მათ სრულ უგულობას საქმისადმი, — სხვათა შორის მით აიხსნება, რომ ისინი თავიანთ მოვალეობას უსასყიდლოთ ასრულებენ.

დასასრულ, მეტათ საყურადღებოა ის მუხლი, რომელიც ამბობს მუნციპალიტეტში მოსამსახურე პირთა და მუშათა სინდიკალურ უფლებაზე. როგორც ცალკე კომმუნათა შორის კავშირის მოწყობას აქვს მნიშვნელობა, ეგრეთვე მნიშვნელოვანია იმ პირთ შორის კავშირების შეკვრა, რომელნიც ერთ და იგივე ხვედრს განიცდიან ერთ კომმუნის საზღვრებში. მუნციპალიტეტში მოსამსახურე პირებს ჩვეულებრივ ისე უცქერიან, როგორც მთავრობის მოხელეებს, რომელთა კავშირები, მეტათ სახიფათოთ მიაჩნიათ. თანამედროვე მთავრობანი ასე თუ ისე ურიგდებიან მუშაობის მასსიურ შეწყვეტას კერძო მრეწველობის სხვა და სხვა დარგში, ხოლო ყოვლად შეუძლებლათ წარმოუდგენიათ მუშაობის შეწყვეტა მოხელეების მხრით სახელმწიფო დაწესებულებებში და მუნციპალურ სფერაში ისეთს წარმოებაში, რომელნიც საზოგადოთ „საზოგადოებრივი—საჭირო წარმოებანი“-ს სახელით არიან ცნობილნი. გაფიცვების აკრძალვის მოტივათ ის მოსაზრებანი მოჰყავთ, რომ მუშაობის შეწყვეტა აქ ისეთ არეულობას, საზოგადოების ისეთ შევიწროებას იწვევს, რომ მას ვერც ერთი ნორმალურათ მიმდინარე სახელმწიფო ვერ აიტანსო; რომ „საზოგადოებრივი საჭირო წარმოებანი“ შრომის ისეთი სამფლობელოა, სადაც მუშაობის შეწყვეტა თავს ატყდება არა მარტო საქმის პატრონებს, არამედ მომხმარებლებსაც, რომელთაც მუშების წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღვითო, თითქო იმ მუშებს კი, რომელნიც ქალაქს ემსახურებიან, ვისმეს წინაშე რაიმე დანაშაული მიუძღოდეთ, რომ მხოლოდ მათ ერთმევათ უფლება თავის მთგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვისა. გარდა მოხელეებისა, სინდიკატის შედგენის უფლებას მაგ. საფრანგეთში, მოკლებულნი არიან სახალხო სკოლების მასწავლებელნი, ფოსტატელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურენი, სულ დაბალ ხარისხებიდან დაწყებული და სხ. მაგრამ მუშათა მოძრაობის გავლენის ქვეშ მძაფრთველმა წრეებმა ზოგი რამ დასთმეს და სინდიკალური უფლება აღიარებულ იქმნა, თუმცა ჯერ მხოლოდ ოდნავ, ასე რომ ეხლი, ნამდვილად რომ ვსთქვათ, ამ უფლების გაფართოვებაზეა ლაპარაკი, რომელსაც ამასთანავე ზედმეტი მოთხოვნილებანიც ერთვის: მუნიციპალურ სამსახურში დანიშვნის და წარჩინების პირობების რეგლამენტაცია და დისციპლინალურ საბჭოების რეორგანიზაცია.

რუსეთში ამ საკითხის მდგომარეობის შესახებ ვიტყვით მხოლოდ, რომ მინისტრთა ცირკულიარების ძალით, რომელნიც აქ ხშირათ კანონების მაგიერობას სწევენ, სახელმწიფო სამსახურში მყოფთ და ქალაქის, საერობო და სოფლის თვით-მართველობის თანამდებობის პირებს ეკრძალებათ, სასტიკ პასუხისმგებლობის ქვეშ, არა თუ პოლიტიკურ კავშირებში შესვლა, არამედ პროფესსიონალურ ორგანიზაციების და წოდებრივი კორპორაციების დაარსება. ვიტყვით მეტსაც, მათ პოლიტიკურათ აზროვნებაც კი ეკრძალებათ: მათ მოვალეობათ ეკისრებათ პოლიტიკური გამოურკვევლობა, როგორც გარანტია ოიგიანობისა, დაუმატეთ ამას ისიც, რომ როგორც საზოგადოებრივ, ისე სახელმწიფო სამსახურში დისციპლინალურ სასამართლოების ხსენებაც არ არის. უკანასკნელთა ფუნქციებს ასრულებს აქ ადმინისტრაცია, რომელიც საქმის გარჩევის დროს საკუთარ სურვილების კოდექსით ხელმძღვანელობს.

**გრ. გველესიანი.**

(შემდეგი იქნება)

სტუდენტობა არ წარმოადგენს ერთ მთელს—იგი სხვა და სხვა ჯგუფებისაგან შესდგება, მაგრამ რამდენათაც ამისთანა დაფასება შესაძლებელია, ქართველი სტუდენტობა არ არის ისეთი დაცემული, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. მართალია, ქართველ სტუდენტებში, როგორც საერთოდ რუსეთის სტუდენტობაშიაც, არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც არაფერს აკეთებენ, სულით ხორციანათ გახრწნილნი არიან და უნივერსიტეტს კლუბში და რესტორანებში ათავებენ, მაგრამ ამისთანა ჯგუფები ძალიან მცირენი არიან რიცხვით და საზოგადო მოვლენას არ წარმოადგენენ. სამაგიეროთ არიან ისეთი ჯგუფებიც, რომელთაც ცხოვრების მიზნათ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის ბრძოლა დაისახეს და თავგანწირვით ემსახურებიან თავიანთ იდეას. არის ელემენტებიც, რომელნიც ასე გამორკვეულად არა მოქმედებენ, მაგრამ ყოველივე საზოგადო საქმეში მხარს უჭერენ სხვებს და თუ პირველ წყობაში არა, არც უკანასკნელში მისდევენ ამხანაგობას. ამას ყველაზედ უკეთესად გვიმტკიცებს რუსეთის მოწინავე საზოგადოების და სტუდენტების აზრი ქართველ სტუდენტობაზედ. ყოველივე საზოგადოებრივ მოვლენაში, ქართველი სტუდენტები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ.

თუ იმას უკიჟინებენ ქართველ სტუდენტობას, რომ არა მეცადინეობენ და ორ წელიწადში არ ათავებენ უნივერსიტეტს, ვინც კი იცნობს რუსეთის საზოგადოებრივ და სტუდენტების ცხოვრებას ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, კარგად უნდა იცოდეს, რომ ნორმალური სწავლა და მეცადინეობა შეუძლებელი იყო იქ, სადაც მეცნიერების მაგივრად მუშტი იყო გამეფებული და როდესაც მთელი ხალხი ებრძოდა ძალმომრეობას. ამ უკანასკნელ სამ წელს კი, როდესაც ბრძოლა ჩაჩუმდა, ყველამ იგრძნო, რომ ცოდნა საჭიროა და ქართველმა სტუდენტებმაც, ისე როგორც სხვებმაც, მოჰკიდეს მეცადინეობას ხელი. ამას ამტკიცებს პროფესსორების საბჭოების აზრი ამ უკანასკნელ წლებში მეცადინეობის აღორძინების შესახებ. ამგვარად ბ-ნ ფოცხვერაშვილის დახასიათება ქართველ სტუდენტებისა სინამდვილეს მოკლებულია. თუ არის ქართველ სტუდენტთა შორის არა სასურველი ჯგუფები, არის ძალიან სიმპატიურიც და საერთოდ კი ქართველ სტუდენტობას რუსეთის სტუდენტობის შორის უჭირავს არა უკანასკნელი ადგილი. თუ ამაზედ მე ლაპარაკი დავიწყე, მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრს უყვარს პატარა ავისა და კარგისაც გაზვიადება და შემდეგ, ზოგიერთ პატალოგიურ ტიპებსავით, ვაისა და ვუის მოყოლება. ქართველი სტუდენტობა არ არის იდეალური და არც ისეთი დაცემული, როგორც ეს „ლიტერატორ" ფოცხვერაშვილსა ჰგონია.

**შალვა მესხიშვილი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** კვირას, 16 მაისს, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში წაიკითხეს შემდეგი ლექციები: **ექიმმა** გას. წერეთელმა—ჰიგიენიდან „პირის და ყელის მოვლა", კიტა აბაშიძემ მე-19 საუკუნის ლიტერატურიდან „მგოსანი ალ. ჭავჭავაძე" და გრ. გიორგაძემ პოლიტიკური ეკონომიიდან „უტოპისტები: სენ-სიმონი, სენ-სიმონისტები და ფურიე". პირველმა ლექტორმა გარკვევით დალაგებით და მდაბიო ენით აუხსნა მსმენელებს, თუ როგორ უნდა მოვლა პირს, კბილებს და ყელს. მეორე ლექტორმა მშვენივრად გაარჩია მგოსანი ალ. ჭავჭავაძე, როგორც რომანტიული მიმართულების მწერალი; გაგვაცნო რეალურ და სიმბოლიურ მიმართულებასაც და დაასახელა ამათი მიმდევარი მწერლებიც. მესამე ლექტორმა აგვიწერა ფრანგი სენ-სიმონის ცხოვრება და მისი საზოგადოებრივი მოძღვრება; მისი მიმდევრები, სენ-სიმონისტები, რომელნიც ცდილობდნენ ამ მოძღვრების განვითარებას და ცხოვრებაში გატარებას, მაგრამ ბოლოს სენ-სიმონიზმი უნიადაგო აღმოჩნდა და უარყოფილ იქმნა. საზოგადოთ, ლექციები უველა მეტად საინტერესო და საყურადღებო იყო, ჩინებულად ჩაიარა, მსმენელნი მეტად კმაყოფილნი დარჩენ და ტაშის ცემას საზღვარი აღარ ჰქონდა.

—

**ბათუმი.** აქ გვეწვია ქართული დრამატიული დასი, რომელმაც გამართა **მხოლოდ ერთი** წარმოდგენა; დადგეს ყიფიანის ახალი დრამა „**ლევანი** სამეგრელოს მთავარი". თამაში მწყობრად და ერთ სულოვნად ჩაატარეს. კარგები იყვნენ: ბ. მესხი „პაატას" როლში, ქ-ნი ევგემია მესხი „დარეჯანის" როლში, **კარგი იყო** გუნია (ლევანი) ზარდიაშვილი (არჩილი), ივანიძე (გიორგი), ქ-ნ მდივანი (ნინო **დედა**); დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ საერთო ანსამბლს: ეს პიესა ბათუმში პირველად დადგა, და გვეგონა ხალხით გაიჭედებოდა რკინის თეატრი, მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუვდა. ხალხი სულ ცოტა დაესწრო!.. ვინც დაესწრო ისიც მდაბიო ხალხი... სადღა იყვნენ ინტელიგენტები, მოხელენი, ნოქრები და სხვანი..? „ილიუზიონში", ან ქაღალდ-ლოტოს თამაშში! ისე დავქვეითდით, გავფუქსავატდით, რომ ისეთ კულტურულ დაწესებულობას, როგორცაა თეატრი, წელიწადში-ერთხელაც არ ვესწრებით!..

—

**კონცერტის განმეორება.** როგორც გადმოგვცემენ ბ. კ. ფოცხვერაშვილი ამ ახლო მომავალში ხელმეორედ მართავს კონცერტს სახალხო სახლში. პროგრამმა შევსებული იქნება ახალი ნომრებით: იმღერებენ ორ (გოჩას) არიას ბალანჩივაძის „თამარ ცბიერიდან" და ერთ არიას (ქურუმი ქალისას) ფოცხვერაშვილის ოპერიდან „არმაზის კერპის დამსხვრევა"; ამას გარდა დაუკრავენ ამ უკანასკნელ ოპერის აგერტიური.

## უცხოეთი

**არეულობა ეგვიპტელ სტუდენტებთა შორის.** ადგილობრივ უნივერსიტეტის „ალ-აზჰარ"-ის სტუდენტებმა წარუდგინეს ქედივის მმართველობას წმინდა-აკადემიური ხასიათის მოთხოვნილებანი და ითხოვეს მათი ჩამატება უნივერსიტეტის ავტონომიის პროექტში, რომელსაც ეხლა ადგენს სახალხო განათლების მინისტრი. მმართველობამ ცივი უარი უთხრა სტუდენტებს, რამაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია მათ შორის. მოსწავლე ახალგაზრდობამ მოახდინა რამდენიმე მიტინგი და დაადგინა გაფიცვა გამოაცხადოს ოცი დღით, პროფესსორები ამაოდ სცდილობდნენ, დაემშვიდებინათ სტუდენტები. არც მთავრობის მიმართვამ იმოქმედა მათზე, პირიქით მკაცრმა კილომ. უფრო გააცხარა სტუდენტები: გამართა ახალი მიტინგი, რომელზედაც სტუდენტები გადასცდენ აკადემიურ საჭიროებების კამათს და პოლიტიკური მოთხოვნანიც წამოაყენეს. სტუდენტები დაიმალნენ „გაუმარჯოს ეროვნულ გმირს იბრაგიმ ალავარდინის ძახილით. მთავრობას აზრათ აქვს დაკეტოს დროებით უნივერსიტეტი და გადაიტანოს პროვინციაში უმეტესი ნაწილი ფაკულტეტებისა.

**იტალიის მეფე და სოციალისტი ფერრი.** არგენტინის რესპუბლიკის ასი წლის დაარსების გამო გამართულ კრებაზედ ცნობილმა სოციალისტ-დეპუტატმა ენრიკო ფერრიმ რომში წარმოსთქვა სიტყვა. კრებას დაესწრო მეფე ვიქტორ-ემმანუელი და ფერრის სიტყვის გათავების შემდეგ მივიდა მასთან, ხელი ჩამოართვა და უთხრა: დიდათ მოხარული ვარ, რომ შემძლება მქონდა თქვენი მშვენიერი სიტყვა მომესმინა". ფერრიმ მადლობა გამოუცხადა მეფეს და დამსწრე საზოგადოება ფეხზე წამოდგა და მხურვალე ოვაცია გაუკეთა მეფეს.

**იტალია და კრიტე.** იტალიის დაჟინებით თხოულობს, რომ ნება დართონ კრიტეს საბერძნეთთან შეერთებისა. კრიტელების მოთმინება ვენიზელოსი მძიმე ავად არის. კრიტელები უარს აცხადებენ სახელმწიფოთა მოთხოვნის ასრულებაზე და აპირებენ მთებში გასვლას.

## რუსეთი

✦ **ებრაელებს არ ასვენებენ.** რუსულ გაზეთებს ირკუტსკიდან ატყობინებენ: ციმბირისა და ზაბაიკალის რკინის გზებზე ქალაქ ომსკთან, კრასნოიარსკთან და ირკუტსკთან მატარებლებს აჩერებენ და ყველას, ვინც კი ურიას ჰგავს, პასპორტებს ართმევენ, ნიშანს უსვამენ და ქალაქში აღარ უშვებენ. რუსი ვაჭრები მეტად დაღონებულნი არიან ამით, რადგან ებრაელთა განდევნა ვაჭრობას ძლიერ შეუშლის ხელსო.

✦ **ახალი „საშიში" გაზეთი.** როგორც ვიცით ჭეშმარიტ რუსთა კავშირში დიდი უთანხმოება სუფევს. მოკავშირეებმა თავმჯდომარეობიდან გადააყენეს კავშირის ვამობილი და სულის-ჩამდგმელი ექიმი დუბროვინი. დუბროვინი სცემს გაზეთს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მახარობელს", ანუ „რუსკოე ზნამია"-ს. კავშირის ბელადებმა ამას ყურადღება მიაქციეს და მთავარ საბჭოს კრებაზე დაადგინეს: რადგან „რუსკოე ზნამია" ამ ბოლოს დროს ხშირად ილაშქრებს სტოლიპინის მთავრობის წინააღმდეგ, რაიც არ შეშვენის კავშირს, როგორც მონარქიულ ორგანიზაციის ორგანოს, დაიკეტოს იგი ან სათაური „კავშირის მახარობელი" გამოეცვალოს და ახალი გაზეთი გამოიცეს. თუ დუბროვინი ამას არ დაემორჩილება ადმინ სტრაციას სთხოვონ ამ ორგანოს წინააღმდეგ ზომები მიიღოს.

✦ **სათათბიროს ბრალია.** სათათბიროს დეპუტატს ვორონინს მრავალი ცნობები მისდის მუშების რკინის გზის სახელოსნოებიდან დათხოვნის შესახებ. მაგ. ქალაქ კოვროვში დაითხოვეს 150 მუშა, ეკატერინოსლავში ბლომად დაითხოვეს მუშები კიევის და ლიუბოტინის სახელოსნოებიდან, მიზეზად იმას ასახელებენ, რომ სათათბირომ რკინის გზის უწყების ხარჯთაღრიცხვა შეამცირა და ფული აღარა გვაქვსო.

✦ **რევიზია.** კიევში სამხედრო პროკურორის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი ბეზბოროდინი და სენატორის რევიზიის ექსპერტი ფენენკო პოლიციის თანხლებით მივიდნენ შრომის მოყვარეთა სახლის ფეხსაცმლის სახელოსნოში და მოითხოვეს ის 30,000 წყვილი ჩექმა, რომელიც ამას წინად კრემენჩუგის მიმღებმა კომისიამ არ მოიწონა. სამი ათასიდან მხოლოდ 24 წყვილი და აღმოჩნდა. აქედან მხოლოდ ორი წყვილი იყო შეკერილი კრემენჩუგის მიმღებ კომისიის მიერ მოწონებულ მასალისაგან. რევიზორებმა ეს მასალა ყოვლად უვარგისად სცნეს, ოქმი შეაყენეს და ყველაფერი სენატორ დედიულინს აცნობეს.

✦ **ყალბი ფულის ქარხნის აღმოჩენა.** დონის როსტოვში პოლიციამ აღმოაჩინა კარგად მოწყობილი ყალბი ფულის საჭრელი ქარხანა. იპოვეს ბლომად გამზადებული ვერცხლის ფული. დააპატიმრეს სამი კაცი და სამი ქალი.

✦ **შეწირულება.** ტომსკში „ძმები პიანკოვების" ფირმამ 30,000 მანეთი შესწირა უნივერსიტეტის და ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის ღარიბ სტუდენტთა დასახმარებლად.

✦ **პეტიცია.** ფინლიანდიის სეიმმა ერთხმად გადასწყვიტა მიმართოს ხელმწიფე იმპერატორს პეტიციით ლოცმანთა უწყების შესახებ. სეიმი სხვათა შორის შუამდგომლობს, რომ ფინლიანდიის ძირითადი კანონები შესრულებულ იქმნას და უკანასკნელი ზომები ან უარყონ ან შესცვალონ, რადგან ეს ზომები ძირითად კანონებს ეწინააღმდეგებიანო.

✦ **მუშაობის დასრულება.** ფინანსთა სამინისტროსთან შემდგარმა საუწყებათაშორისო კომისიამ უკვე დაამთავრა სამინისტროს მიერ შემდგარ სამხედრო გადასახადის შესახებ პროექტის განხილვა. შენიშვნების შემდეგ პროექტი შესაფერისად გადაკეთებულ იქმნება და მინისტრთა საბჭოში შეიტანენ განსახილველად.

✦ **ეგზამენებზე არ უშვებენ.** სათათბიროს დეპუტატ ფრიდმანს ატყობინებენ ქალაქ ნიკოლაევიდან: ადგილობრივ გიმნაზიებში ეგზამენებზე დასაშვებად ებრაელ-მოწაფეებს სასწავლებლის გამგეობამ მოსთხოვა პოლიციის მოწმობა, რომ მათ ნიკოლაევში ცხოვრების ნება აქვთ. პოლიცია უარზე დგას—ებრაელებს აქ ცხოვრების ნება აქვთ და ამიტომ არავითარი მოწმობა საჭირო არ არისო. სასწავლებლების მთავრობა კი ჯიუტობს, არა, მოწმობა უნდა წარმოადგინოთო; ამ ბრძოლაში კი ეგზამენების დრო მიდის. ორ წყალ შუა ყოფნა სწორედ ეს არის.

✦ **ოქტომბრისტები.** დეპუტატმა კლიმენკომ განაცხადა, რომ გამოდის ოქტომბრისტების ფრაქციიდან. როგორც მკითხველსაც ეხსომება, კლიმენკომ სათათბიროს საერთო კრებაზედ განაცხადა, რომ ოქტომბრისტების მოქცევა არ ეთანხმება მათ პარტიულ პროგრამმას. ოქტომბრისტების ფრაქციამ გადასწყვიტა ნება მისცეს თავის წევრებს თავისუფლებისა დასავლეთ გუბერნიებში ერობის საკითხის კენჭის ყრის დროს.

✦ **შრომის ჯგუფი და ფინლიანდიის საქმეები.** შრომის ჯგუფმა განცხადება შეიტანა სათათბიროს თავმჯდომარესთან, რომ მოხსნილ იქმნეს ამ სესიაში კანონ-პროექტის განხილვა ფინლიანდიის შესახებ და მის მაგიერ განხილულ იქმნეს შემდეგი კანონ-პროექტები: სიკვდილით დასჯის მოსპობისა, საყოველთაო სწავლების შემოღების, განსაკუთრებულ წესების შემოღების შესახებ და ზოგიერთი სხვა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის ცხოვრებისათვის.

## განცხადებანი


### მატარებლების მიმოსვლა
**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. | 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. | 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. | 31 წ. |
| ბაქოსკენ: | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. | 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. | 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. | 38 წ. |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. | 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. | 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. | 12 ს. | 22 წ. |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. | 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. | 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. | 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. | 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, სწრფ—საღამ. | 10 ს. | 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. | 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. | 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. | 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. | 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. | 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. | 33 წ. |

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—102)

### დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

### „ნაკადული"
(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და"—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული აზღები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში.** „**ნაკადულის**" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶

### მოსავალი
**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".




(Мотцль и К. N 43014) (10—б.—6)

ვ. ყიფიანის დრამა

### სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების" რედაქციაში და წერა-კითხ. ს საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში

### იყიდება:

1. ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები . . . 25 კ.
2. ი. ჭავჭავაძე. პოლემიკური წერილები . . . 10 „
3. ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი . . . 25 „
4. ი. ჭავჭავაძე. აი ისტორია . 35 „
5. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული . . 40 „
6. აკაკი. თორნიკე ერისთავი . 35 „
7. აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით . . 50 „
8. აკაკი. ქუთათლის სიზმარი . 5 „
9. აკაკი. ნაცარქექია . . 10 „
10. აკაკი. გოგია მეჩანგურე . 5 „
11. ნ. ბარათაშვილი. ლექსები . 5 „
12. ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი . . . 5 „
13. ე. ნინოშვილი. პალიასტომის ტბა . . . 5 „
14. ა. ყაზბეგი. ელისო . . 10 „
15. ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები . . . 50 „
16. კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორი. ნ. ს. . 40 „
17. ნ. მარრი история грузіи . 25 „
18. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება . 15 „
19. ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია . 40 „
20. ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია . . 60 „

**და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი.**

### ივ. გრ. ხალათიანი

იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის. ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ „**დროება**"-ს კანტორაში: დიდი ვანქას ქ., № 12. (0—17)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

### „როზა"
(„ვარდი")

**ტფილისი, უჩების შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.**

**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—14)

**ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი**

### მ. ა. გაყონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის. ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(0—14) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

### მოითხოვეთ სწორი და გამძლე საათები!



**ნუ გამოეკიდებით სხვა იაფ-ფასიან საათებს! კარგ საათებს უოველთვის შესაფერი ფასი აქვს. პარიზის უკანასკნელი სიტყვა.**

200 მანეთიან ოქროს საათების ნაცვლად ვურჩევთ შეიძინონ კაცის საათი, დახურული სამ-ხუფიანი „**სეცესია**", რომელსაც ისეთივე გარეგნული სახე აქვს, კარგად მუშაობს, რადგან ელექტრონის საშუალებით 14 პროცენტიანი ოქრო აქვს გადაკრული. ამ საათის მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიისა არის, წკრიალა ხმა, 15 ქვიანი, მომართვა ყურიდან ყოველ 40 საათში ერთხელ. ეს საათები ნამდვილ ახალ ოქროსია. კარგი ღირსებისათვის საათები დაჯილდოვებულია ოქროს მედლებითა და სხვა ნიშნებით. ფასი 5 მ. 25 კ., 2 ცალი 10 მ., 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც ამ საათს ნახავს რწმუნდება, რომ ის 250 მ. ღირს. მსურველს გაეგზავნება წუთით-წუთამდე სწორე საათი. სრული პასუხის მგებლობა ლითონის ღირსებისათვის და საათის სწორე მუშაობისათვის 6 წლის განმავლობაში. საათები გაიგზავნება ფასდადებით და უბეოთაც. თუ საათი **არ მოეწონებათ, ფულს უკან ვაბრუნებ.** გაგზავნა 40 კ. (ციმბირში 75 კ.). საათის გამომწერელს **უფასოდ** ეგზავნება მშვენიერი კოხტა ძეწკვი ახალი ოქროსი, ბრელოკით და ზამშის ბუდე საათის შესანახად. ადრესი:

Экспортн. домъ И. Штрумфельдъ, Варшава, Св. Креста 48 отд. 12.

ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

Метцль и К-о N 34140, (4—б.—3)

### შემთხვევით იყიდება

ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.



სტამბა „ხინათლე" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.